

# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

## ს ხ დ ო მ ა

2018 წლის 8 ოქტომბერი, 11:00 საათი

### დღის წესრიგი

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის მ. თოდუას წერილი  
*- წერილით წარმოდგენილია მოთხოვნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის პ. სილაგაძისათვის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების თაობაზე.*

მომხსენებელი

> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი  
გიორგი მიქაუტაძე

2. მოსამართლის განცხადება გამოსაცდელი ვადის შეწყვეტისა და უვადოდ გამწესების თაობაზე  
*- წარდგენილ იქნება ინფორმაცია მოსამართლე შ. ყაველაშვილის მონაცემების შესაბამისობის თაობაზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 79<sup>ე</sup> მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან.*

მომხსენებელი

> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი  
გიორგი მიქაუტაძე

3. გადაწყვეტილების პროექტი – „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №1/56 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე  
*- პროექტი ითვალისწინებს თანამდებობაზე ახლად გამწესებულ მოსამართლეზე საქმეთა გადანაწილებას.*

მომხსენებელი

> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი  
სერგო მეთოფიშვილი

4. გადაწყვეტილების პროექტი – „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“

მომხსენებელი

> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი  
გიორგი მიქაუტაძე

5. კანონპროექტი – „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“  
- პროექტი ითვალისწინებს მოსამართლისათვის, მხარეთა თანხმობის გარეშე, შეკითხვის დასმის უფლებამოსილების მინიჭებას.

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი შოთა ქადაგიძე

6. კანონპროექტი – „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“  
- პროექტი ითვალისწინებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში საერთო სასამართლოების დაფინანსების ნაწილის გაზრდილი მოთხოვნის წარდგენას საქართველოს პარლამენტისათვის, იმ შემთხვევაში თუ მის წარდგენაზე უარს იტყვის საქართველოს მთავრობა.

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ნაზი ჯანეზაშვილი  
➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი თამარ ონიანი

7. კანონპროექტი – „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“, „სისხლის სამართლის კოდექსში“ და „ნარკოტიკულ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონებში ცვლილებების შეტანის შესახებ  
- კანონპროექტები ითვალისწინებენ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკანონმდებლო დონეზე იმპლემენტაციას.

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე

8. გადაწყვეტილების პროექტი – „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრისა და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 5 თებერვლის №1/89 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“  
- პროექტი ითვალისწინებს დანამატის გაცემის შესაძლებლობას იმ მოსამართლეებზე, რომლებიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის საფუძველზე ასრულებენ სასამართლოს თავმჯდომარის, კოლეგიის/პალატის თავმჯდომარის მოვალეობას.

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ნაზი ჯანეზაშვილი

9. სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის წერილი  
- წერილის საფუძველზე დეპარტამენტი ითხოვს თანხმობას სამტრედიის რაიონული სასამართლოს სარემონტო სამუშაოების დაწყებისათვის.

მომხსენებელი

➤ სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარე შოთა ქარჩავა

10. გადაწყვეტილების პროექტი – „იუსტიციის უმაღლესი სკოლის მისაღები კონკურსის მეორე ეტაპზე კანდიდატების დაშვების შესახებ“

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი  
გიორგი მიქაუტაძე

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს პალატებში მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი  
ირაკლი შენგელია